ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

"გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში"-ს რეკომენდაციები

საქმიანობის დამგეგმავი და ანგარიშის წარმდგენი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

დამგეგმავის მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში;

ბ) გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების არატექნიკური რეზიუმე;

გ) სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების shp ფაილები.

„გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის" განხილვის მიზნით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საბოლოო დასკვნისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით, გაიმართა „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების" ანგარიშის და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის #06-119/ო ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის სხდომა მიმდინარე წლის 20 აგვისტოს. კომისიის შეხვედრა გაიმართა დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც რეკომენდაციების სახით გაცემული იყო წინასწარ ეტაპებზე განხილვის დროს.

საბოლოო შეთანხმებისათვის, გამოიკვეთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების/შემარბილებელი ღონისძიებებისაკენ მიმართული რეკომენდაციები, რომლებიც დამგეგმავმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს პროექტის განხორციელების და ექსპლუატაციის ეტაპებზე:

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების (დემოგრაფიული პროფილი, შობადობა, ბუნებრივი მატება, შემოდინება, სიკვდილიანობა და სხვა) უფრო დეტალური განსაზღვრა, ასევე გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების სიხშირის ანალიზი.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გრიგოლეთში არ არის სამედიცინო პუნქტი. აქედან გამომდინარე, საჭიროა დროულად და მაღალი ხარისხით მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა, მათ შორის სასტუმროებში პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტების განთავსება და სააფთიაქო ქსელის განვითარება.

მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ტერმინები გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ენაზე (მაგ. დასახელებები და სხვა)

<u>დასკვნა:</u>

ცენტრი, კომპეტენციის ფარგლებში, დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროექტს - „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს“ და მნიშვნელოვნად მიაჩნია მოხდეს ცენტრის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული/შერბილებული ადამიანის ჯანმრთელობაზე ამჟამად მოქმედი და პოტენციური რისკ-ფაქტორები, მათი ზემოქმედების არეალებისა და მასშტაბების გათვალისწინებით.

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე